

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების
შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ცალკეული ნორმა-დებულებების გასწორება და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ხოლო მეორეს მხრივ კანონიდან ე.წ. „მკვდარი ნორმების“ ამოღება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ტაგტალოგიისა და ნორმათა კოლიზიის თავიდან ასაცილებლად წარმოდგენილი კანონპროექტით ცვლილებები შედის კანონის მე-3 მუხლის მე-4, მე-10 მუხლის მე-3, მე-12 მუხლის მე-5 და მე-6, მე-13 მუხლის მე-2, მე-17 მუხლის მე-2 და მე-3, მე-20 მუხლის მე-2, 23-ე მუხლის მე-2, 25-ე მუხლი მე-5, 26-ე მუხლის მე-3, 28-ე მუხლის მე-4, 29-ე მუხლის პირველ და მე-3, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტში. პროექტის შესაბამისად, კანონიდან ამოღებულ უნდა იქნეს მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამატებითი სახსრების ხარჯვას.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.